



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1125
12/06/2018

ქალაქი ბათუმი

1125-05-4-201806121118



თამაზ ბერიძეზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მშენებლობის ინსპექტირებისა და ზედამხედველობის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტზე განყოფილების II რანგის უფროსის დროებით მოვალეობის შესრულების დაკისრების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-9-ე პუნქტისა და გიორგი ქურდიძის 2018 წლის 08 ივნისის №1627-05 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად **გბრძანებ:**

1. თამაზ ბერიძეს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მშენებლობის ინსპექტირებისა და ზედამხედველობის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს დაეკისროს მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მშენებლობის ინსპექტირებისა და ზედამხედველობის განყოფილების II რანგის უფროსის დროებით მოვალეობის შესრულება, 2018 წლის 11 ივნისიდან კონკურსის წესით შერჩეული კანდიდატის დანიშვნამდე.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (მ/შ მ. გვიანიძე) უზრუნველყოს შრომის ანაზღაურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა